განკარგულება:**g-31. 3124208001**
თარიღი:**26/07/2024**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №35

2024 წლის 26 ივლისი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შპს ,,მაგთიკომი“-სთვის (ს/ნ 204876606) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მეორე ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ნაწილის, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთვარობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, შპს ,,მაგთიკომს“ (ს/ნ 204876606) გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: ქ. ლანჩხუთში კოსტავას ქ. N 37 -ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ 27.06.52.114) სახურავზე არსებული 2 კვ.მ. ფართი და ამავე შენობის მიმდებარე 8 კვ.მ. მიწის ფართობი.

მუხლი 2. პირველი მუხლით გათვალისწინებული უძრავი ქონება შპს ,,მაგთიკომს“ სარგებლობის უფლებით გადაეცეს 5 (ხუთი) წლის ვადით და უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობად განისაზღვროს 11 400 (თერთმეტი ათას ოთხასი) ლარი.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N 26 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის ,,საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი